ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი #5

25 ივლისი 2022 წელი

ქ.ბაღდათი 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ

კომისიის წევრები:
გურამი კიკნაველიძე
მაია კბილაშვილი
სიმონ ჭოლოკავა
დიომიდე კიკნაველიძე
ბიძინა ჯაბიძე
ნინო კვირიკაძე
იოსებ კვირიკაშვილი
ნინო ფურცელაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შ.შ.მ პირთა საკითხებში: გრიგოლ გრძელიძე, ამავე სამსახურის წარმომადგენელი: ნატო დოგრაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი: მინდია კიკნაველიძე, ამავე სამსახურის წარმომადგენლები: ლაშა რობაქიძე, ნინო გოგავა

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი ნატო მაჩიტაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 42 76 განკარგულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

   მომხს: მინდია კიკნაველიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაცია ‘მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე(შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის 2021 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხს: მარეხი მშვენიერაძე

   ნატო დოგრაშვილი, გოჩა გრძელიძე

3. ა.ა.ი.პ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) ომიკრონის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

   მომხს: ნატო მაჩიტაძე

   თანამომხსენებელი: ირინა ტყეშელაშვილი

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და

სპორტის სამსახურის ინფორმაცია: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 42 76 განკარგულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი: მინდია კიკნაველიძემ განაცხადა, რომ სამოქმედო გეგმამდე ვართ მისული და ახალგაზრდული საბჭო განიხილავს სტრატეგიაშ მითითებული 2022-2025წ.წ-ში თუ რა უნდა განხორციელდეს რაც განხილულია და გაწერილია

კომისიის წევრი: იოსებ კვრიკაშვილმა განაცხადა, რომ დავგეგმოთ სპორტული დარბაზის მშენებლობის საკითხი ეს არის აუცილებელი რაც ახალგაზრდა ჯანსაღი თაობის განვითარებისათვის უმჯობესი იქნება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა კენჭისყრაზე დასვა საკითხი: არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. შეფასდეს დადებითად კომისიის მიერ და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:
კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი საკითხი: არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი - „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ ანგარიში 2021-2022 სასწავლო წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. შეფასდა დადებითად კომისიის მიერ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია
მომხრე: 9 **წინააღმდეგი: 0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაცია ‘მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე(შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის 2021 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შ.შ.მ პირთა საკითხებში: გოჩა გრძელიძემ, განაცხადა, რომ შ.შ.მ პირთა საერთო კრება სადაც მსჯელობენ სხვადასხვა საკითხებზე და მათ სურვილებს შესაძლებლობის პირობებში ვაკმაყოფილებთ

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა გოჩა გრძელიძეს, რომ ეს ურეკში დასვენება გასაგებია, თუ აქვთ სხვა კურორტებზე დასვენების სურვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შ.შ.მ პირთა საკითხებში: გოჩა გრძელიძემ, უპასუხა ირინა ტყეშელაშვლის, რომ მოგეხსენებათ შ.შ.მ პირებისათვის უმჯობესია ურეკში დასვენება კომისიური წესით ხდება ურეკში დასასვენებლად გასაგზავნი შ.შ.მ პირების

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საინფორმაციო მედია საშუალებების მუშაობა ა.(ა).ი.პ -ებში ინფორმაცია ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაცია 'მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე(შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის 2021 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. ინფორმაცია მიიღო კომისიამ ცნობის სახით შეაფასა დადებითად და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3. კომისიის თავმჯდომარემ ირინა ტყეშელაშვილმა წარმოადგინა საკითხი: ა.ა.ი.პ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის" დირექტორის ინფორმაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) ომიკრონის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა კითხვით მიმართა ნატო მაჩიტაძეს, რომ ეს ახალი ვირუსის მაიმუნის ყვავილის ინკუპაციის პერიოდი უფრო ხანგრძლივია და რამდენი დღე მიმდინარეობს

ა.(ა).ი.პ ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორი: ნატო მაჩიტაძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს, რომ ახალი ვირუსის მაიმუნის ყვავილის ინკუპაციის პერიოდი მიმდინარეობს 20-21 დღის ფარგლებში

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცახდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა მოხდეს, სოფლებში ტრანსპორტით სათანადო აღჭურვილობით მისვლა და აცრების ჩატარება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ

ა.ა.ი.პ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაცია ახალი კორონავირუსის (COVID-19) ომიკრონის შესაძლო გავრცელების პრევენციისა და აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ. ინფორმაცია მიიღო ცნობის სახით.

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილი